ცნობის ფურცელი

№ 1736 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 სამშაბათი, 26 თებერვალი № 1736

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—12)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები - მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ქ. ბათუმში
იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი“**

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. სალაპარაკო და საინტერესო საგანი ისევ როზბერი და მისი ახალი ლიბერალური ლიგაა. კემპბელ ბანერმანის მომხრე ძველი ლიბერალები დაცინვითა და აგდებით იხსენიებენ ახალ ლიგას. „დეილი ნიუსი“ ამბობს—„ასტუდა ულმობელი და სასტიკი ქარიშხალი ერთ ჭიქა წყალში, გაჩნდა ახალი დასი. ლორდ როზბერი თავია ამ დასისა, ჭენრი ფაულერი გუდი და ასკიტი და გრეი—ტანი. ახალს ლიგას ყველგან დამცინავის ღიმილით შეხვდნენ. ლორდ როზბერის თანაგრძნობა არსად არ აღუძრავს. იგი ხელოვანი ხუროთ-მოძღვარია თავისავე პოლიტიკურ დაცემისა და ამის მეტი მაზე არა ითქმის-რა. უფრო მეტ ყურადღებას ასკიტი იქცევს. იმედია, რომ იგი დიდ ხანს ვერ დარჩება ახალ ორგანიზაციაში“.

იმპერიალისტები დიდ დამსახურებად უთვლიან ლორდ როზბერის ბუროთვლების დასიდან გამოსვლას, მაგრამ ბევრს მათგანს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ისეთმა მოღვაწემ, რომელიც სტოვებს თავის პარტიას იმიტომ, რომ ყველა პარტიებს ჭკუა ასწავლოს, ინგლისში დიდი გავლენა შეიძინოს. „ყოველ შემთხვევაში, ამბობენ იმპერიალისტები, საჭიროა, რომ როზბერიმ თავისი პროგრამა გამოაცხადოს. თუ ახალ ლიგის მეთაურს დავუჯერებთ, ეხლანდელმა სამინისტრომ სრული უნიჭობა გამოიჩინა. მაშასადამე, საჭიროა მისი გადაყენება. მაგრამ ეს ეხლა ყოვლად შეუძლებელია, და ამის ბრალი ყველაზე უწინ ედება იმ კაცს, რომელმაც ხელი შეუწყო ლიბერალურ პარტიის განხეთქილებას გლადსტონის დროს, რომელიც ამდენი ხანი განზე იყო გამდგარი და აღუშფოთებლად შესცქეროდა, თუ ამ პარტიის ახალ მეთაურებს საიდგან მიჰყავდათ დასი.“

15 თებერვალს ირლანდიელმა დეპუტატმა დილონმა სასტიკად გაჰკიცხა ინგლისის მთავრობა ირლანდიაში სასტიკ მოქმედებისათვის. მთავრობას საბუთი არ ჰქონდა ირლანდიაში საგანგებო კანონები და წესი შემოეღო. პოლიცია ნებას არ აძლევს თავისუფლად შეიკრიბნენ ირლანდიელები და თავიანთ საქმეებზე მოილაპარაკონ. მთავრობა სპობს ირლანდიაში სიტყვის თავისუფლებას. აგრარულ დანაშაულობათ რიცხვი შემცირდა უკანასკნელ დროს და ეს მოვლენა აიხსნება მხოლოდ «შეერთებულ ირლანდიის ლიგის“ გავლენითაო. ამიტომ მთავრობას არავითარი საბუთი არა აქვს ამ ლიგის წევრები სდევნოს და პასუხის გებაში მისცენო. დილონი აფრთხილებს მთავრობას, რომ ძალ-მომრეობისა და რეპრესიების პოლიტიკა უთუოდ გამოიწვევს ფარულ საზოგადოებათა დაარსებას და ამისი მიზეზი მხოლოდ მთავრობა იქნებაო. დილონს მიემხრო რასელიც, რომელიც ამტკიცებს, რომ თვით მთავრობა აიძულებს ირლანდიელებს უკანონოდ მოიქცნენ. მთავრობის წარმომადგენელი უინდგემი სცდილობდა ყველაფერში გაემართლებინა ეხლანდელი პოლიტიკა—განსაკუთრებულ კანონების შემოღება გამოწვეულია აუცილებლობით და ეხლანდელ მდგომარეობის ბრალი სავსებით ირლანდიელების ლიგას ედებაო, რადგან იგი ბოიკოტის მქადაგებელიაო და სხვა. რაც შეეხება ინგლისის პოლიციის მოქმედებასაო, შესაძლებელია, რომ იგი ზოგიერთ შემთხვევაში უკანონოდ მოიქცა, მაგრამ ამისათვის ხომ სასამართლოები არსებობსო. შემდეგ ილაპარაკა ჯონ მორლეიმ; მორლეი ამტკიცებდა, რომ ირლანდიელ დეპუტატების დატუსაღება სახალხო კრებებში მონაწილეობის მიღებისათვის, ყოვლად უკანონო არისო; პოლიციელებზე ბრალის გადატანა მთავრობას ვერ გაამართლებს: პოლიციელი უკანონოდ და უდიერად თავის დღეში არ მოიქცეოდა, რომ იგი დარწმუნებული არ იყოს, რომ მთავრობას მისი მხარე უჭირავს. „ირლანდია ღელავს იმიტომ, რომ მას უკანონოდ, საგანგებო ღონისძიებათა საშუალებით განაგებენ, და ეს მღელვარება გაგრძელდება მანამდე, სანამ მთავრობა თავს არ დაანებებს ძალ-მომრეობის პოლიტიკას.“

ბევრისათვის კიდევ სანატრელია ის „ძალ-მომრეობითი პოლიტიკა“, რომელსაც ეხლა ინგლისის მთავრობა ადგას ირლანდიაში.

საფრანგეთი. მოგვყავს ერთი ადგილი ვალდეკ-რუსსოს სიტყვიდან, რომელიც მან პარიზის განაპირა ადგილების პრესის ბანკეტზე სთქვა; ვალდეკ-რუსსომ მშვენივრად დაახასიათებია ის აგიტაცია, რომელსაც ეხლანდელ სამინისტროს მოწინააღმდეგენი მართავენ: „ეხლანდელ დროის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ეხლა ყველა სცდილობს რესპუბლიკის მომხრედ უჩვენოს თავი ქვეყანას. მე საინტერესოდ მოვიჩნიე შემედარებინა ზოგიერთი ციფრები 1893 წლისა და 1898 წლის არჩევნებიდან და აი რა აღმოჩნდა ამ შედარებიდან: 1893 წელს იმ კანდიდატების რიცხვი, რომელთაც თავიანთი თავი რესპუბლიკის მოწინააღმდეგედ გამოაცხადეს, უდრიდა 351-ს; 1898-ში ამათი რიცხვი ძლივს 191-მდე ავიდა. ეხლა 1902 წელს ხომ თითქმის სულ ვერ ვხედავ რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთ, თუმცა ძალიან ვსცდილობ კი: დიდი დიდი ამ კანდიდატების რიცხვი 36 იქნების (საზოგადოებაში სიცილი და ტაშის-ცემაა); სამაგიეროდ ეხლა გაჩნდნენ კონსერვატორი რესპუბლიკელები, დამოუკიდებელი რესპუბლიკელები, ნაციონალისტ-რესპუბლიკელები, და დარწმუნებული ვარ, მალე გაჩნდებიან რესპუბლიკელი მონარქისტები, რესპუბლიკელი იმპერიალისტები და შეიძლება რესპუბლიკელი-ცეზარისტები (სიცილი). ცხადია, დადგა ისეთი დრო, როცა ზოგიერთ აზრის ქადაგება მხოლოდ ნიღბით ქვეშ შეიძლება (მოწონება). საერთო არჩევანი მეტად საინტერესოა... ჩვენ მოწინააღმდეგეთა ბანაკში გახურებული მუშაობაა. განსაკუთრებულის ენერგიით ფულებს უყრიან თავს (სიცილი). ეხლა-ხან რეაქციონერებმა ერთი დიდი აღმოჩენა მოახდინეს—თუ აქამდე საფრანგეთი ჩვენი არ გამხდარა, ეს იმიტომ, რომ ცოტა ფული მიგვეცა მისთვისო (აღელვება). რა უყოთ მერე, სცადონ და მთელი საფრანგეთი საერთო კენჭის ერით დაუმტკიცებს მათ, რომ იგი გასაყიდი არ არის.«

კრებამ დიდის ოვაციით გაატანა მჭევრ-მეტყველი ორატორი—„გაუმარჯოს ვალდეკ-რუსსოს, გაუმარჯოს რესპუბლიკას“-ო, დიდ-ხანს არ შესწყვეტილა.

ფელეტონი

მოგონებანი

შემახაში მოგზაურობიდან

(დასასრული*)

ქვემო შემახა იწყება (წმ. ნიკოლოოზის ტაძრის პირდაპირ) შუაგულ კარგა ფართო ბაქოსკენ დაქანებულის ქუჩით. საზოგადოდ შემახის მდებარეობა ასე უნდა წარმოიდგინოთ: ზემო შემახა რომ ავლაბრის მოედანი იყოს (ტფილისში), კახეთის მოედანს რომ ეძახიან, და სირაჯხანის დაქანებული ქუჩა რომ პირდაპირ რიყეზე ჩადიოდეს, სწორედ ქვემო შემახას წარმოგიდგენთ თავის მდებარეობა-შენობებით; მხოლოდ შემახაში ჩვენკენ კი არ არის დაქანებული ქუჩა, არამედ სამხრეთისკენ-ბაქოსკენ. ამ ქუჩას ჰქვიან ბაზრის ქუჩა. ეს ბაზრის ქუჩა, რომელიც კარგა შორს მანძილზე მიდის, მიწის ძირამდის ორსავე მხრით სავსე იყო დუქნებით და მაღაზიებით. როგორც ყველა აზიის ქალაქებში, აქაც განურჩევლად ერთი ერთმანეთზე იყო მიდგმული დუქნები: ძვირფასი სამანუფაქტურო მაღაზიის გვერდით ყასბის დუქანს შეხვდებოდით (განსაკუთრებით ცხვრის ხორცით მოვაჭრეს) ანუ საბაკალეინო მდიდარი მაღაზიის გვერდით—მეჯლანის ან ფინაჩის დუქანს ნახავდით, ან კიდევ დამკლავებულ ქაბაბჩებს თავის გაღვივებულს ქურებთან, რომელზედაც ისინი გულმოდგინედ ფლავსა და ყაურმას აკეთებდნენ. ამ უსწორ-მასწორად აგებულს და მოწყობილს დუქან-ბაზრებში ბევრს განძ-სიმდიდრეს, ძვირფასს ქსოვილებს და ხელნაკეთებს ნახავდით. დიდს მაღაზიებში ნახავდით ათას ჯურა შალის, აბრეშუმის და თივთიკის ნაქსოვებს-მატერიებს, თვალის წარმტაც ქირმანიშალებს, მანდილებს, ბალდადებს და სხვა ათასფერად აჭრელებულ ზიზილ-პიპილებიან აბრეშუმეულობას და ჩითეულობას. მდაბიო მაჰმადიანთა ქალებს საოცრად უყვართ აჭრელებული, ფერადი ტანისამოსი. შეძლებულ მაჰმადიანდა ქალები აბრეშუმის და ფარჩის ტანისამოსს ხმარობენ, თითქმის ყოველთვის. ხშირად შეხვდებით საშუალო შეძლების ბეგის მორთულ ცოლს ანუ ქალს, რომელსაც ტანზე აცვია, ცოტა რომ ვსთქვათ, ოთხასი თუმნის საფასური კაბა და სამკაული; ჯერ მარტო რა ღირს ოთხი წყობა ბაჯაღლო ოქროს ჯინჯილი, რომელიც იმათ შუბლზე აკრავთ ჩვენებური თავსაკრავისავით!..

მეორე მაღაზიაში შეხვდებოდით და რა ხელოვნებით ნაკერს მუთაქის და ბალიშის პირებს, სუფრებს, ფარდებს და სხ. ნახავდით! ახლა ხალები და ფარდაგები... და მერე რა ფასად? ტფილისში და სხვა ქალაქებში ერთი ხუთადაც რომ მისცეთ საფასური, სად იშოვით იმათ ბადალს!..

ქუჩის მეორე მხარეს უფრო ერთად თავმოყრილი იყო ხელოსნების დუქან-მაღაზიები და სახელოსნოები: ოქრომჭედლები, მეუნაგრეები, მჭედლები, იარაღის დუქნები და სხვ... იარაღის გამკეთებელი ოსტატები და ოქრომჭედლები განსაკუთრებით დაღისტნელი ლეკები იყვნენ. დაღისტანი შედარებით შორს არ არის შემახაზედ, შუაში ერთი დიდი ქედი უძევთ აღმოსავლეთით და ამის გამო შემახა ხელოსანი ლეკებით სავსე იყო. მერე რა ხელოვნების ნივთებს ნახავდით საოქრომჭედლოებში! არა მგონია, ვინც შემახაში არა ყოფილა, იმას სადმე ენახოს იმ ნივთების მსგავსი. შეიძლება, ვინმე ნახა ერთი-ორი ნიმუში ამ ხელოვნებისა ტფილისის შარშანდელ გამოფენაზედ, მაგრამ ეს საკმაო არ არის; ადგილობრივ უნდა გენახათ...

მოდით ეხლა თქვენ და შეადარეთ „ველურ აზიელთა“ დაჯორჯგებულ-დაკორძებულის და გარკინავებულის ხელით ნამუშავარ-ნაკეთები და ევროპიელთა კულტურული (ყალბი) ნაწარმოები!.. რა ბძანებაა! რა საკადრისია! განა ნამდვილი კახური ღვინო შეიძლება სმირნოვის “ვოდკას“ შეადაროთ?! ამ „გაუთლელ აზიელების“ ნაწარმოებში რაღაც უმანკო პოეზია იხატება, თვით ბუნება, ღვთის მადლი, სინამდვილე...

ახლა იარაღი იკითხეთ და ვაჟკაცის მოსართველი სხვა სამკაული. ეს კი ყოველ ხელოვნებას აღემატება, და ყველა ეს კიდევ იმ „ველური“ ლეკების ნაკეთებია!—ოქრო, ვერცხლი, თითბერი, სპილენძი, რკინა, ხე, ძვალი—ყველა ამითი შეკაზმული და შემკობილი ხმალი, ხანჯალი, მასრები, საპირისწამლეები ათასი ჯურისა... უკეთესს ვერაფერს ნახავდა კაცი. შარშან ტფილისის გამოფენაზედ ვნახეთ ზემოხსენებულ ხელოვნების იარაღი, მაგრამ ის პირველთაგანი არ იყო. ლეკები შორს ქვეყანაში გასასყიდად არ წაიღებენ იარაღს, რადგანაც ძვირად უჯდებათ მოგზაურობა და ამიტომ ადგილობრივ მუშაობენ, სადაც საკმაოდ ჰყავთ მუშტარი. იმათ მაღაზიებში ულაგიათ რამდენიმე წყვილი იარაღი ნიმუშად და ვინც შეუკვეთავს, იმას გაუკეთებენ. ნამდვილი ლეკის ხელოვნების იარაღი შეიძლება ნახოს

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1734

სამხრეთ-აფრიკა. როგორც იქმნა, კიტჩენერი იძულებული გახდა შეეტყობინებინა სამხედრო სამინისტროსათვის დაწვრილებითი ცნობები კლეკსბორნთან მომხდარ ბრძოლის შესახებ: „პრეტორია, 14 თებერვალი. თქვენის დეპეშის პასუხად გიგზავნით ეს არის ეხლა მიღებულ მოხსენებას: 16 ოფიცერი და 451 ჯარის კაცი დატყვევებულია; ერთი ოფიცერი და 105 ჯარის კაცი განთავისუფლდეს ტყვეობიდან. პოლკოვნიკი ანდერსენი, იომანრის რაზმის უფროსი, ჯერ კიდევ დატყვევებულია. მაიორი ენდიგრელი, ქვეითა რაზმის უფროსი დაჭრილია.“

მოხსენება არაფერს ამბობს ორ ზარბაზანზე, რომელიც უთუოდ ბურებმა წაიღეს: მთელი რაზმი დამარცხდა და ტყვედ არის წაყვანილი.

✿ მეომარ ბურის ჯვარის წერის ამბავი: „ჩემთან (ექიმი ალბრეხტი) მოვიდა ახალგაზდა ბური და მთხოვა სადოსტაქრო (ქირურგიული) ქინძისთავები მეთხოვებინა მისთვის. შევეკითხე თუ რისთვის უნდოდა მას ეს ქინძისთავები. იმანაც მიპასუხა, რომ ქინძისთავები საჭიროა მის საცოლესათვის—იქნება როგორმე მოახერხოს საქორწილო ტანისამოსის მოგვარებაო. ჯვარის წერა დილას უნდა მომხდარიყო. მაგრამ ღმერთო, რა ქორწილი იყო. მეფე-დედოფალი—ნანგრევებზე ისხდნენ. დედოფალს თეთრი კაბა ეცვა, ჩემის ქინძისთავებით რამდენიმე ადგილას დაბნეული; მეფეს ძველი გახუნებული ტანისამოსი ეცვა. საქორწილო მასპინძლობაც ვერაფერი შვილი იყო, ღვინის მაგიერ კაფრების ლუდსა სვამდნენ. სადილზე გარმონიკაზე უკრავდნენ. მაგრამ შუა ლხინის დროს მოვიდა დევეტის კაცი და დახმარება ითხოვა. მეფეც და სხვა სტუმრებიც მაშინვე დევეტის ბანაკისაკენ გაეშურნენ და ნახევრად დანგრეულ ქოხში მარტო ქალები-და დარჩნენ. მეორე დღეს, დილით, დაბრუნდა მეფე, მაგრამ რა ნახა—განთიადისას ინგლისელებს გამოევლოთ და ახლად ჯვარ-დაწერილი ქალი კონცეტრაციონულ ბანაკში წაეყვანათ და დაემწყვდიათ“.

ახალი ამბავი

✦ ტფილისის ქალაქის საბჭომ გუშინდელს სხდომაზედ ხელმეორედ განიხილა საკითხი ტფილისში **საადრესო სტოლის** დაარსების შესახებ.

✦ კვირას, 24 თებერვალს, ტფილისში ჩამოვიდა ამიერ კავკასიის რკინის გზების **ახალი უფროსი**, ინჟინერი ივანოვსკი.

✦ გუშინწინ პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნდა ტფილისის თავად-აზნაურთა **დეპუტაცია**.

✦ 28 თებერვალს ქუთაისში მოხდება ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის **მესესხებელთა კრება**, რომელზედაც უნდა აირჩიონ რწმუნებულები ბანკის საზოგადო კრებებზე დასასწრებლად მომავალ სამის წლისათვის.

✦ ამას წინად ქუთაისში გასამართლებულთ **ბლ. ლორთქიფანიძეს** და მის ამხანაგთ, რომელთაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯა სამხედრო სასამართლომ, კასსაციურის საჩივრით მიუმართავთ კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოსათვის.

✦ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოების** წევრთა 21 თებერვლის საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია ხვალ, 27 თებერვალს, საღამოს 8 საათზე.

✦ დღეს, 26 თებერვალს, მოხდება სხდომა იმ კომიტეტისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა **ახალქალაქის მაზრაში** მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა.

✦ 27 თებერვალს, ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში მოხდება **საზოგადო კრება** გეოგრაფიულ საზოგადოების წევრთა. ამ კრებაზე, სხვათა შორის, ბ. გომი წაიკითხავს მოხსენებას შესახებ თავის მოგზაურობისა დაღესტანში.

✦ სენაკის **მეაბრეშუმეთა ამხანაგობის** საზოგადო კრება, რომელიც დანიშნული იყო პარასკევს, 22 თებერვლისათვის ,წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, არ შესდგა და გადაიდვა 17 მარტისათვის.

✦ 21 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შესდგა საზოგადო კრება ტფილისის **საფეხნიკო საურთიერთო** დამხმარებელ საზოგადოებისა ბ. ა. ენფიანჯიანცის თავმჯდომარეობით. კრებამ ბევრი ხანი მოანდომა განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებულ იმ ინსტრუქციის განხილვას, რომელიც სახელმძღვანელოდ უნდა ექმნეს საზოგადოების გამგეობას თავისი მოქმედების დროს. კარგა ხანს კამათის შემდეგ, კრებამ ხმის უმეტესობით საჭიროდ დაინახა შეეცვალა ინსტრუქციის მე-3, 4, 18, 19 და 23 მუხლები და სრულიად გამოერიცხა მე-16 მუხლი. ამავე სხდომაზე კრებამ ამოირჩია საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრები. დახურულის კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნენ ბ-ნი ენფიანჯიანცი, ტიგრან ნალბანდოვი, ლებედევი, ვახნიანსკი და სარუხან-ბეკი. კრებას აგრეთვე განსახილველად წარედგინა გამგეობის ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, რაც ცოტა ხანს კამათის შემდეგ მცირეოდენის ცვლილებით დამტკიცებულ იქმნა. დამტკიცებულ იქმნა აგრეთვე ხმის უმეტესობით საზოგადოების სარევიზიო კომისიის სახელმძღვანელო ინსტრუქცია. კრებამ საპატიო წევრთა ამ სხდომაზე არჩევა შეუძლებლად დაინახა, რადგანაც კრებას საზოგადოების წევრთა ორ-მესამედზე ნაკლები დაესწრო, და ამიტომ არჩევანი შემდეგი დროისათვის გადაიდო.

✦ ხუთშაბათს ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოხდა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის შეერთებული სხდომა, რომელზედაც განიხილეს ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორის ოგანეზოვისა და საპედაგოგიო საბჭოს განმარტებანი სამოსწავლო ოლქის უფროსის წარმომადგენლის შენიშვნებზე სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. სასწავლებლის დირექტორი, როგორც სჩანს, სასწავლებლის არა სასურველ მდგომარეობაში ჩაყენებას აბრალებს ქალაქის გამგეობას და სასწავლებელთა გამგე-კომისიას. შეერთებული სხდომა აღნიშნულ საკითხის შესახებ გარდაწყვეტილს მოსაზრებას ვერ დაადგა და ამიტომ საჭიროდ დაინახა გარდაეცეს მთელი ამ საქმის შესახები მასალა სასწავლებელთა კომისიას, რომელმაც მოკლეს დროში თვისი მოსაზრება უნდა წარუდგინოს გამგეობას.

✦ რედაქციამ მიიღო განჯიდან იქაურ ქართველთა შორის შეკრებილი 20 მან. **ალაგირში მცხოვრებ ქართველთათვის**, რომლებიც ამას წინად სთხოვდნენ ქართველ საზოგადოებას დახმარებას სკოლის შენობისა და ეკკლესიის აგებისათვის.

✦ ოლქის სასამართლომ გაუგზავნა ტფილისის პოლიცმეისტერს სასამართლოს გადაწყვეტილება უბნის ზედამხედველად ნამყოფს **ჩაევსკიზედ**, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს დატუსაღება ქალაქის მცხოვრებლებთან ცუდად მოპყრობის გამო.

✦ ტფილისის ხორცის დუქნების ზედამხედველად მოწვეულია 44 დრაგუნთა პოლკის **ზეითალი თავდგირიძე** და ოთხი პირი სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველის თანამდებობაზე—დუქნების საკანტროლოდ.

✦ ტფილისის გუბერნატორის დავალებით, ქალაქის ექიმებმა **დაათვალიერეს** სადალაქოები და საპარიკმახეროები. უმეტესი ნაწილი სადალაქოებისა ძალიან ბინძურად აღმოჩნდა შენახული, რაზედაც პატრონებს ოქმი შეუდგინეს.

✦ 24 თებერვალს, საღამოს აქსიონოვის ქალს თავს **დასცემიან** ქუჩაში ვიღაცა ბოროტ-გამზრახველნი, წაურთმევიათ ტალმა და შალი და მიმალულან. ქალს ბევრი უყვირია, მაგრამ არც პოლიციელი და არც მეეზოვე არ აღმოჩენილა ახლო-მახლო. ამაზე პოლიციაში იჩივლა აქსიონოვის ქალმა.

✦ ქალაქის გამგეობამ მიმართა თხოვნით პოლიცმეისტერს, აუხსნას პოლიციის მოხელეთ, როდესაც მილის წყალი ესაჭიროებათ, თითონ ნუ ახდიან ქუჩების წყლის კრანებს და ამისათვის გამოიწვიონ ხოლმე სახელოსნოდან ოსტატები ან გამოცდილი მუშები, რადგანაც ახლის დროს ბევრი წყალი იღვრება და ქუჩებს აჰოჰებს.

✦ კავკავის ქართულ სკოლის გამგე ბ. პართ. გოთუა გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში:

„1901 წლის 26 დეკემბერს გაიმართა კავკავის ქართულ სკოლის სადგომში ამავე სკოლის სასარგებლოდ საღამო კონცერტითურთ, რომლისაგან შემოვიდა: შემოწირულება—213 მან. 50 კაპ., ბილეთების გაყიდვისაგან—538 მან., ბუფეტისაგან—721 მან. 80 კაპ., სულ 1473 მან. 30 კაპ. გასავალი იყო: ბუფეტის გამართვა-მოწყობა—242 მან. 23 კაპ. მარკები, სადგომის მოწყობა და განათება 104 მან. 91 კაპ. ორი ორკესტრი, ზურნა, საზანდარი—88 მან. სულ 435 მან. 14 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა—1038 მან. 16 კაპ., რომელიც მიემატა სკოლის თანხას. ფულად შემოსწირეს: თერგის ოლქის უფროსმა გენ. ლეიტ. ს. ევ. ტოლსტოვმა—5 მან. ანტონ ხიდეშელმა—20 მან. გრ. ლ. ქორქაშვილმა 15 მან. ათ ათი მანათი: მ. პ. ჯაფარიძემ, პ. ე. მარანდოვმა, ბ. მარიამულმა (პეტროვსკიდან) ბ. ო. ოგანოვმა, ს მ. კირაკოზოვმა, ბ. ლუკიანოვმა და თავ. ალხაზოვმა. ხუთ-ხუთი მან: კ. ას. ჰყონიამ, ალ. მ. სადრაძემ, სტ. ევ. ხოდჟევატოვმა, ბ. კონჭუხიძემ, ბ. არტემოვმა, ბ. შანაევმა, ნოე. გერ. გასუმიანცმა, ბ. კირეევმა, ბ. სიმონოვმა, ბ. ახვერდოვმა, ხრ. ანდ. ანდრეევმა, ბ. როზენბლიუმმა, ალ. ბეს. პიპინაძემ და ბ. მურატანდოვმა. სამ-სამი მან.: მღვდ. ნიკ. კანდელაკმა. ბ. დუგოვსკიმ, სპ. ან. ანდრეევმა, ბ. კალანტაროვმა, ბ. ვახტანგოვმა. ბ. სერგეევმა ბ. კუდრინსკიმ, ბ. კვარტანომ, ბ. ომაროვმა. ორ-ორი მანათი: ბ. გორსკიმ, ბ. დალგატმა და ბ. ვირუბოვმა. (50 კაპ—უცნობმა.) სულ 213 მან 50 კაპ. სასმელები და სანოვაგე შემოსწირეს: დავ. ზაქ. სარაჯევმა და სხვა. საღამოს გამართვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს: ქალბატონებმა ელ. სოლ. ასულმა გვარამაძისამ, ელ. დიმ. ჩაჩიბაიასამ, მელ ივ. მეფურნოვისამ, ვარ. ივ. ბოდზიევისამ და ა. პ. მოზდოკელისამ და ქართველ მომღერალთა ხორომ მ. ს. კუხიანიძის ლოტბარობით. ბ. ბ. ნ. ივ. ფხაკაძემ, კონ. სოლ. გვარამაძემ, ი. დ. მაისურაძემ, ნიკ. თედ. გუბნელოვმა, გ. ბ. ბარათაშვილმა, გრიგ. მიხ. ბურდულმა, ივ. ივ. ფირცხელაურმა, გ. მ. ბურდულმა, ი. ს. მესხიევმა, სტუდ. ედილაშვილმა, ზაქ. ლ. კიკნაძემ, ალ. გულბათოვმა, ბ. ჯაჭვაძემ, პეტრე. ფრიდ'ინოვმა, ბ. მოსულიშვილმა, ვლ. კუმსიევმა, მიხა ლომიძემ, ბ. ელერდაშვილმა და სხვ. ყველა ზემოთ მოხსენებულ პირთ და აგრეთვე იმათაც, ვისი გვარები აქ უადგილობის გამო ვერ მოვიხსენიეთ და რომელთაც ხელი შეუწყეს საღამოს წარმატებას, ჩემდამო რწმუნებულის სკოლის მაგიერ ვუცხადებ უგულითადესს მადლობას“.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ქვალონიდან იტყობინებიან, რომ 24 თებერვალს სახალხო მატარებლის ლოკომოტივი და ბარგის ვაგონი ლიანდაგიდან გადმოცვივდნენ. დაზიანდა ლოკომოტივი და ბარგისა და ფოსტის ვაგონები. ხალხს არა დაშავებია-რა.

✦ როგორც გვწერენ, ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში, უკანასკნელ დღეებში საგრძნობელად აცივდა. დრო გამოშვებით მოდის წყალ-ნარევი თოვლი; მაღალ ადგილებსა და მთებზე უკვე კარგა ძალი თოვლი დასდვა. ამ დროს ცივი ამინდები სოფლად მით უფროა სასურველი, რომ ზამთრის თბილ ამინდს გაზაფხულის პირზე შეეძლო გამოეტყუებინა ხეხილეულობა და ვენახი და მარტს კი ჩვეულებრივ გაეოხრებინა.

✦ როგორც გვატყობინებენ, შორაპნის მაზრის სოფელ ლიჩიდან, წარსულ კვირაში ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გაუტეხიათ ლიჩის საზოგადოების მამასახლისის ლომიძის სახლი, საიდანაც გამოუტანიათ 360 მან. სახაზინო გარდასახადის მოკრებილი ფული. ლომიძის სახლი ბოროტ-მოქმედთ მაშინ გაუტეხიათ, როცა სახლის პატრონი რაღაც საქმეებისა გამო დაბარებული ყოფილა საჩხერეში. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

შემახიის ამბები

შინაგან საქმეთა სამინისტროს კავკასიის მთავარ-მართებლის თავად გოლიცინისაგან,

---

კაცმა ადგილობრივ (ბაქოს გუბერნიის) ხანების და ბეგების ტანზე; ბაქოს გუბერნიას იშვიათად გასცილდება ეს იარაღი. რომ დავკვირებივარ შემახიის მაღაზიაში ამ გასაშტერ იარაღს, მინატრია, ნეტავი ეს იარაღი ჩვენს თავმომწონე ყმაწვილებს (ჩოხოსნებს) დაანახვა მეთქი!

*

დიდ ბაზრის ქუჩაზედ (ქვემო ქალაქში) ორსავე მხრით მრავალი ვიწრო და დაკლაკნილი ქუჩები გამოდიოდა. ქვემო შემახია მეტად მჭიდროდ იყო დასახლებული, განსაკუთრებით მაჰმადიანებით; ამავე უბანში იყო მეჩეთები და აბანოები. შემახაში მდინარე არ არის და ხალხი ხმარობდა ჭის წყალს და წყაროს წყალს, რომლებიც რამდენიმე იყო. ბაზრის ქუჩაზედ ქვით ამოშენებული დიდი წყარო იყო, რომელსაც ბუზივით ეხვეოდენ თათრის ქალები სპილენძის კოკებით. ბაზარში ყოველთვის დიდი მოძრაობა იყო: ურმებით, ცხენებით, სახედრებით (იქაური სახედრები ცხენის ტოლებია და დიდი გამძლე და რიგიანს ხუთ-ექვს თუმანზედ ნაკლებ ვერ იყიდის კაცი), მოჰქონდათ სანოვაგე, ხილეულობა; მოერეკებოდენ გასასყიდად ცხვარს, თხას, ფრინველებს; ვაჭრობა, ჟრიამული, სიცილ-ხარხარი, ყვირილი, ბავშვების ცელქური წივილ-კივილი—ყველა ეს სიცოცხლით სავსე სავაჭრო აზიურ ქალაქს წარმოადგენდა.

ვაჭრობის დროს თუ ისე გამოლაპარაკებაში კაცები (მაჰმადიანები) მეტად ზრდილობიანნი და თავაზიანნი არიან უცხო ხალხთან; იმათ კაცი სალამს ვერ დაასწრებს. შეუძლებელი იყო, ჩვენ, უცხო ხალხს, ქუჩაში გაგვეარა და ფეხზედ არ წამოცვივნულიყო დუქნების წინ მსხდომარე ხალხი. ან კიდევ გზაში რომ შევხვდებოდით გზაზედ მომავალს ხალხის ჯგუფს, უცბად შედგებოდენ და ვიდრე არ გავივლიდით, ადგილიდგან ფეხს არ მოიცვლიდენ.

ქალები ფერადის და შავი ჩადრებით (თეთრ ჩადრებსაც ხმარობენ, უფრო მდაბიო ხალხი) დაბურვილნი დადიან, სახეზედ პირბადეები აქვთ ჩამოფარებული პაწაწკინა ჯუჯრუტანებით თვალებისთვის. ტანისამოსზედ შეატყობთ, შეძლებული ოჯახის ქალია თუ ღარიბისა, რადგანაც შეძლებულებს უთუოდ ძვირფასი შალები ასხიათ და ფარჩის ან აბრეშუმის კაბები აცვიათ. თავიანთ კაცებს ძალიან ერიდებიან მაჰმადიანთა ქალები და სახეს არას დროს არ დაანახვებენ (ოჯახებშიაც კი ქალი თუ დაანახვებს სახეს თავის ძმას და მაზლებს, სხვებს ძალიან იშვიათად, რაც უნდა კარგი სახლის მეგობარი იყოს), მაგრამ თუ უცხო კაცი (მოსული, ევროპიულის ტანისამოსით) შეხვდათ გზაში ან თავის სახლის წინ და იციან, რომ არავინ არ უყურებს თავიანთი, იმას ეცდებიან (ცხადია, უფრო ახალგაზდები და ლამაზები), რომ როგორმე დაანახონ თავისი სახე: უცბად გადიგდებენ მანდილს და დაგანახვებენ მშვენიერს ფერმკრთალს მოღიმარ სახეს, გიშრის ფერ თმა-წარბს, სპეტაკ თეთრ კბილებს და მამაკვდინებელს აშიკურად მოცინარს ჟუჟუნა თვალებს. შორით დიდი მოარშიყენი არიან მაჰმადიანთა ქალები და თუ მარტო დაიგულეს უცხო კაცი, შორიდან ნაღველაზედ გახეთქამენ...

არც შეძლებულ შემახელთა ოჯახები დავტოვეთ უნახავი; იქა გვყვანდა ნაცნობი სომხები ბალაბეგ და ალექსანდრე ლალაევები, დიდი შეძლებულნი მემამულენი, მაჰმუდ-ალა შეილებითურთ (მაჰმადიანები), ხაჩანოვი, მატრასიის მემამულე და ბევრი სხვანი. იმათი ყოფა-ცხოვრება სწორედ რომ საგულისხმიეროა. სადღაც, ბაქოს გუბერნიის განაპირა მაზრაში, სათათრეთში, ხედავთ ნამდვილ ევროპიულად მოწყობილ ოჯახებს: ძვირფასი ხელოვნების უკანასკნელი ჯურის საზღვარგარეთელი მებელი, დიდი სარკეები, პიანინო-როიალები და მასთან აზიური უძვირფასესი ხალები და სხვა სახლის მოწყობილობა-რაღაც-ფანტაზიურს, მაჰმადისაგან დასახელებულ სამოთხეს წარმოადგენდა. ყველა შეძლებულებს ორ-ორ-სართულიანი სახლები ჰქონდათ, ფართო, ნათელი და სუფთა ოთახები, ცალ-ცალკე განყოფილება კაცებისთვის და ქალებისთვის: კაცებს ცალკე მისდიან სტუმრები და ქალებს ცალკე. შემახიელ სომხების ოჯახებში ბევრს ნახავთ ევროპიულად განათლებულს და განვითარებულ პირთ, რომელთაც საზღვარ-გარედაც უვლიათ, სხვა-და-სხვა ენები იციან, მაგრამ ოჯახური ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და ლაპარაკი უმეტეს ნაწილად მაჰმადიანებისა აქვთ. ჩვენ არ შევხვედრივართ დიდს ოჯახებში, ერთმანეთთან სომხურად ელაპარაკოთ; სომხები ჩვენ რუსულად გველაპარაკებოდნენ, ხოლო ერთმანეთს თათრულად. ჭამა-სმაში და ჩაცმა-დახურვაშიაც ძალიან ნაკლებად განირჩევიან სომხები მაჰმადიანთაგან. საჭმელები მაჰმადიანთა ოჯახებში ევროპიული და აზიურია, სასმელები ყოველ ნაირი, მითომ სტუმრებისთვის, მაგრამ ამ ბოლო ხანებში თითონაც ძალიან კარგად მიირთმევენ. მაჰმადიანთა ქალები სტუმრებთან არა სადილობენ, ზოგიერთ სომხის ოჯახში ქალი გამოდის სტუმრებთან. თუმცა ძალიან კარგად გრძნობენ ქალების ამ გვარი მორიდების უვარგისობას, მაგრამ ჩვეულებისთვის ვერ უღალატნიათ. შეძლებულ ოჯახს სამუდამოთ თავის „კარის“ საზანდარი ჰყავს; დამკვრელი და მომღერალი იმ მხარეში თითქმის ყველაა. ლხინი და დროს გატარება ძალიან უყვართ; ნადიმის დროს ხშირად იციან ორ მომღერალთა გაშაირება: მახვილის სიტყვებით ერთმანეთს კბილსა სჭრიან და დამსწრეთა სიცილ-ხარხარს ბოლო არა აქვს. ძალიან გულწრფელი დახვედრა იციან სტუმრისა საზოგადოდ; სტუმართ-მოყვარეობა მათთვის უპირველესი მცნებაა, ვინც უნდა იყოს სტუმარი. იშვიათია შეძლები ოჯახი, საკუთარი ლანდო-ეკიპაჟი და

რომელიც დაქცეული შემახიის დასათვალიერებლად იყო, შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „მიწის ძვრის შედეგი ჭეშმარიტად საზარელი სანახავია; უსახლ-კარო ხალხს ძალიან აწუხებს თოვლი და სიცივე, რომელიც ჩემს იქ ყოფნაში ათი გრადუსი იყო. ქალაქის ზემო ნაწილი ძალიან დაზიანებულია. დაქცეულია მართლ-მადიდებელთა ტაძარი, ყაზარმები და ბევრი სახლი, ზოგიერთი სახლის შეკეთება და განახლება შეიძლება. ხის შენობები, რომელთაც ძალიან მცირე რიცხვია შემახაში, შედარებით უფრო ნაკლებად არის დაზიანებული. რაც შეეხება ქალაქის ქვემო ნაწილს, სრულიად მიწასთან გასწორებულია; ქალაქის ეს ნაწილი დიდია და ძალიან მჭიდროდაც იყო დასახლებული. ისეთი უბნებიც არის, სადაც სახლის ნასახი არ არის, და მხოლოდ ქვების ხროვა და ხეები აცნობებენ კაცს, რომ აქ ეხლახან ხალხს უცხოვრია. ამ უბნის უბედური მცხოვრებლები სულ კარში დარჩნენ, ცის ქვეშ. 800 გვამი იყო ამოთხრილი ნანგრევებიდან, მაგრამ დაღუპულთა რიცხვი ბევრით მეტია. შემახიის მიდამოებში, ჯერ-ჯერობით შეკრებილ ცნობებით, 57 სოფელი დაზარალდა, რომლებშიაც 23 ადამიანი დაიღუპა. ზოგი სოფელი ძალიან დაზიანებულია, ზოგი ნაკლებად; ნამდვილი ცნობები ჯერ არ არის შეკრებილი, რადგანაც ადმინისტრაციის მოხელენი სამუშაოში არიან გართულნი. პირველივე მიწის ძვრის შემდეგ მცხოვრებლებმა მიატოვეს სახლ-კარი და გაიქცნენ ტფილისში, ბაქოში, მეზობელ დაუზიანებელ სოფლებში და კავკასიის სხვა მხარეებში. გზები სავსეა შემახიიდან მიმავალის ფურგუნებით, ურმებით, აქლემებით; ეზიდებიან თავიანთ სარჩო-საბადებელს, ვისაც კი დარჩა რამე და ცოტა ღონისძიებაცა აქვთ. მთელი დღე შემახის დაწვრილებით დათვალიერებას მოვუნდი; მცხოვრებლები, რომელიც კი უბედურებას გადარჩა, იქვე ნანგრევებთან საჩქაროდ აშენებულს ქოხებში და ფანჩატურებში დაბინავებულან, ზოგი სახელმწიფო კარვებში სცხოვრობს, რომლებიც ტფილისიდან არის გაგზავნილი. ქალაქის ზემო ნაწილში ყველა დაწესებულებანი და ზოგიერთი ოჯახობა გადარჩენილ, თუმცა დაზიანებულს, სახლებში მოთავსდნენ, მაგრამ სიცივე მაინც აწუხებთ, რადგანაც ბუხრების ანთება არ შეიძლება. საექიმო და ქირურგიული დახმარება დიდი აქვთ ავადმყოფებს და დაჭრილთ. ავადმყოფები და დაჭრილები ჯერ-ჯერობით საჩქაროდ აშენებულს დროებით ბარაკებში არიან დაბინავებულნი, მაგრამ ამ დღეებში ქალაქის ბაღში გადაიყვანენ იმათთვის საგანგებოდ აშენებულს ბარაკებში. ექიმები, ფერშალი ქალი და კაცები და მოწყალების დანი, აგრეთვე წამლები სრულიად საკმაოდ არის. ადგილობრივმა საქველ-მოქმედო კომიტეტმა დაიწყო თავის დახმარება პურით, თბილი ტანისამოსით და ფულით, ვინც შემახიიდან მიდის. ხელმწიფე იმპერატორის, სამეფო საგვარეულო პირთა და აგრეთვე წითელის ჯვრის საზოგადოების და სხვა ქველ-მოქმედთა უხვი შემოწირულების წყალობით შემწეობა აღმოეჩინათ დაზარალებულ ღარიბებს და დროებით უზრუნველ ჰყო იმათი ცხოვრება. მაგრამ შემდეგისთვის საჭიროა ძალიან დიდი დახმარება, რომ დაქცეული ოჯახები როგორმე წელში გასწორდნენ" („რუს. ვედ.").

პრესსა

როგორც იციან მკითხველებმა, ერთი წელიწადია აგერ ჟურნალ-გაზეთები სულ სწავლა-განათლების საქმეზე სწერენ; ამ საკითხს ყოველისმხრიდან უვლიან და სინჯავენ და მრავალგვარ პროექტსა და მოსაზრებას აწვდიან საგანგებოდ დაარსებულს კომიტეტებს. სხვათა შორის, „იუჟნი კურიერ"-ში ბევრი წერილი დასწერა ამ სკითხის შესახებ ალ. ნოვიკოვმა, რომლის ზოგიერთი მოსაზრებანი ჩვენ თავის დროზე მივაწოდეთ მკითხველთ. აი ამ ნოვიკოვს ამ ჟამად ერთი მკითხველი შეჰკითხებია: ერთი გამაგებინეთ: რა აზრი აქვს თქვენსა და, საზოგადოთ, სხვების წერასა? ნუ-თუ გგონიათ, თქვენი მოსაზრება-რჩევა ასრულებულ იქნება? ხოლო თუ თქვენი რჩევა და სურვილი უყურადღებოდ იქნება დატოვებული, ვისთვის ან რისთვის იწუხებთ თავსა და სწერთ ასე გულმოდგინედ?! ეს შეკითხვა საყურადღებოაო, სწერს ბ. ნოვიკოვი; მართლაც, ჩვენში ჯერ პრესსას იმდენი ძალა არა აქვს, რომ პრაქტიკული გავლენა იქონიოსო, ხოლო თუ ეს ასეა, საჭიროა გავითვალისწინოთ, რა მოხელენი ვართ ჩვენ, მწერლები—ჟურნალისტები? ვისთვის ან რისთვის ვწერთ და ვლაპარაკობთო. ერთად-ერთი პასუხი, რომელიც უნდა მივსცე ზემოხსენებულს პრაქტიკ-შემკითხველს, ის არისო, განაგრძობს ბ. ნოვიკოვი, რომ პრესსა სწვრთნის და ამზადებს საზოგადოებრივს აზრს, ანვითარებს საზოგადოების თვითცნობიერებას. სწორედ ამ მიზნისათვის ჩვენ უნდა ვწეროთ და ვიქადაგოთ, თუნდაც პრაქტიკული შედეგი არ ჰქონდეს ჩვენ რჩევასა და მოსაზრებათ. გარდა ამისა, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაშიო, ამბობს ავტორი, რომ

საზოგადოებრივი აზრი ჩვენშიაც არსებობს და მას მეტი ძალაც აქვს, ვიდრე ჰფიქრობენ. თუ მეორმოცე წლებში ბევრი სასარგებლოდ სთვლიდა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ წერასა და ქადაგებას და კიდევაც ჰქადაგებდა, ბევრი, წინააღმდეგ ამისა, სრულიად უსარგებლოდ აღიარებდა წერასა და ლალადს. მაგრამ ახლა ვერავინ ვერ უარჰყოფს იმას, რომ მწერლობამ მოამზადა საზოგადოებრივი აზრი და ხელი შეუწყო 19 თებერვლის რეფორმას... მაშ, რატომ არ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ამგვარადვე ახლაც მოვამზადებთ საზოგადოებრივ აზრს და შესაძლებელად გავხდით იმ დიად რეფორმასაც, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელის მთელი რუსეთი?! თუ მწერლობა, რამდენადაც შეუძლია, გააგებინებს საზოგადოებას, რა არის საჭირო უმეცრებისა და მოუწყობლობის ძლევისათვის, მისი ამაგი დიდი იქნება.

წერილი ლანჩხუთიდან

(ამხანაგობის წლიური კრება)

21 თებერვალს შესდგა ლანჩხუთის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წლიური კრება. პირველად კრებას მოხსენდა სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, რომელიც კრებამ მიიღო და დაამტკიცა. შემდეგ კომისიის წევრმა, ბ. ურატაძემ, წარუდგინა კრებას საკუთარი მოხსენება, სადაც საჭიროდ სცნობს დადგენილ იქმნეს კრების მიერ, რომ დღეიდან უთავდებოდ არავის მიეცეს სესხი, სესხი იძლეოდეს უთუოდ რიგ-რიგობით და უეჭველად ყოველ დახარჯულ კაპეიკს ახლდეს წერილობითი საბუთი. კრებამ კანონიერად იცნა ბ. ურატაძის მოხსენება და დაეთანხმა, მხოლოდ კამათი გამოიწვია კითხვამ შესახებ თავდებისა. ბ. ი. გოგიჩაიშვილი და რამდენიმე პირი ამბობენ, რომ ისეთ კაცებისაგან, რომლებიც ცნობილნი არიან სიმდიდრით და შეუძლიანთ ვადაზე ვალის გადახდა, თავდების მოთხოვა მეტია; თავდები საჭიროა ისეთ პირებისთვის, რომლებიც თავის დროზე ვერ შემოიტანენ ვალს და ასეთ ნებას—წესდებაც გვაძლევს. ბ. ი. გოგიჩაიშვილს ეთანხმება ზოგიერთი შეძლებული პირი. ბ. ურატაძემ განუმარტა კრებას, თუ რა ცუდი შედეგი მოჰყვება ასეთ უთავდებობას, სახელდობრ ის, რომ თავდების შოვნა გასაჭირი ხდება, უთავდებოდ წაღება კი ყველასათვის ადვილია, ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ ფული რამდენიმე კაცის ხელში იტრიალებს და ისიც ისეთ კაცების, რომლებიც ისედაც ბევრ მოსაგებს ანგარიშობენ წლის ბოლოს და ის ხალხი კი, ვისთვისაც ეს ბანკია დაარსებული, სულ გარედ დარჩება, რის გამოც ამხანაგობა დანიშნულებას ასცდება.

ბ. ურატაძის სიტყვებს მოწინააღმდეგენი პროტესტით შეხვდნენ და თავმჯდომარე თხოულობს, რომ რადგან ეს კითხვა სულ კერძოა და გამგეობას არ შეუტანია დღევანდელ გადასაწყვეტ კითხვების სიაში, გადავდვათ შემდეგისთვის და ეხლა დავუბრუნდეთ მეორე კითხვას: გადაიდვას თუ არა გასული წლის მოსაგები შენობისათვის. ცოტა ხნის კამათის შემდეგ მოსაგები გადაიდვა შენობისათვის. შენობის ასაგებად კომისიის არჩევის შესახებ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. რამდენიმე პირი აცხადებს, რომ კომისიის არჩევა ჯერ ნაადრევია, რადგან საკმაო ფული არა გვაქვს. კრება ეთანხმება ამგვარ მოსაზრებას. ბ. ურატაძე ამბობს, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს თითქმის ორი ათას მანეთამდე, ასე რომ ხვალვე შეგვიძლია შენება დავიწყოთ იმ შენობისა, რომლის გეგმა ჩვენ თითქმის ორი წელია, რაც შევადგინეთ. ზოგიერთები უცხადებენ თავმჯდომარეს, რომ კრება არ ირჩევს კომისიას და ეს კითხვა გადაწყვეტილია, რასაც ეთანხმება თავმჯდომარე და სპობს კამათს ამ კითხვის შესახებ.

შესახებ სესხის ვადაზე გადაცილებისა კრებამ დაადგინა, მოვალეს მიეცეს ერთი თვე ვადის შემდეგ. იმ წევრებს, რომელთაც სრული საწევრო ფული დღემდის არ შემოუტანიათ, კრებამ დაადგინა მიეცეს ექვსი თვე ვადა და უკეთუ ამ ვადაში არ შემოიტანენ, გამორიცხულ იქმნენ ამხანაგობიდან. დასასრულ დიდი ბაასი გამოიწვია კითხვამ იმის შესახებ, დაენიშნოს თუ არა გამგეობას ჯამაგირი? კრების დიდ ნაწილს უნდოდა, რომ გამგეებს უჯამაგიროთ ემსახურნათ. ბ. ურატაძემ გაურკვია კრებას, რომ გამგეები, ჯამაგირით თუ უჯამაგიროთ, ვალდებულნი არიან საქმეს პირნათლად ემსახურონ, რადგან ეს მათ ზნეობრივ უფლებას შეადგენს, მაგრამ ამავე დროს ჩვენც ზნეობრივათ მოვალენი ვართ შრომისთვის სასყიდელი გავიღოთ. სირცხვილია, რომ სამას კაცს სამი კაცი გვემსახუროს მთელი წლის განმავლობაში უსასყიდლოთ. უეჭველად გამგეობის მოსაგებიდან რამდენიმე პროცენტი დაუნიშნოთ შრომისთვისო. კრებამ დაადგინა, მიეცეს გამგეებს ჯამაგირად, თუ ისევ ძველები დარჩებიან, 10%. ბ. ურატაძე ამბობს, რომ ჩვენთვის სულ ერთია, ახალი იქნება თუ ძველი, ჩვენ გადავსწყვიტოთ, შრომისთვის გავიღოთ ფასი, თუ არა. კრების დიდი უმეტესობა არ ეთანხმება და გადასწყვიტა მიეცეს 10 % მხოლოდ ძველ გამგეებს. გამგეებმა მოილაპარაკეს კერძოდ და სთქვეს, რომ რადგან ამდენი კამათი გამოიწვია ამ კითხვამ და ბოლოს 10% მეტს არ გვაძლევთ, ჩვენ თანახმა ვართ კიდევ ერთი წელი უსასყიდლოდ ვიმსახუროთ, რადგან კრების სურვილიც ასეაო. კრებამ უღრმესი მადლობა გამოუცხადა გამგეებს და ტაში დაუკრა.

ქართული მხატვრობა იტალიაში

შარშანწინ „ივერიის" ერთ-ერთ №-ში პატარა წერილი მქონდა მოთავსებული ქართულ საეკლესიო მხატვრობის შესახებ. ამ წერილში ქართულ ძველ მხატვრობას იტალიის აყვავების (აღორძინების) ეპოქის ნიმუშებს ვადარებდი. ეს აზრი მცხეთის სვეტიცხოვლის და შუამთის მონასტრის ტილოზე ნახატ სურათების სიკეთეზე მქონდა დამყარებული.

იმ ხანად ნანახი მქონდა ევროპის ყველა ცოტათ მაინც შესანიშნავი სამხატვრო მუზეუმები, გარდა იტალიის მუზეუმებისა. ზოგიერთმა იქნება იფიქრა—ეს შედარება დაჩქარებული და ადრიანიაო, რადგანაც ქართულ მხატვრობას იტალიისას ადარებს და თვით იტალიის სამხატვრო გალერეიები კი არ უნახავსო. მაგრამ ვისაც ევროპის მუზეუმები დაუთვალიერებია, დაგვეთანხმება, რომ მომეტებული ნაწილი იტალიის იმ ეპოქის სურათებისა და თითქმის საუკეთესოებიც—იტალიის გარეშე იმყოფებიან: საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში და რუსეთშიაც-კი.

ამგვარად შეიძლება მნახველმა სრული წარმოდგენა იქონიოს იტალიის იმ ხანის მხატვრობაზე იტალიის გარეშეც (გარდა მიქელ ანჯელოსი:

შესაბმელი და საჯდომი ცხენები არა ჰყავდეს. ცხენი ხომ უპირველესი და საყვარელი ქმნილებაა იქაურ მაჰმადიანთათვის. უბრალო გლეხის ოჯახს ვერა ნახავთ, ორი-სამი მშვენივრად მოვლილ-შენახული ცხენი არა ჰყავდეს. მაჰმადიანი თითონ მოიშიებს და ცხენს კი მაძღრისად შეინახავს. რა ძალიან ეტრფიან ცხენებს, აქედან დაინახავთ, რომ ერთ შეძლებულ მაჰმადიანს (მგონია, მაჰმუდ-აღას, კარგად არ მახსოვს) ჩვენის შემახაში ყოფნის დროს თავლაში ება ოცდა ოთხი არაბის-ტანის და ყარაბაღული საჯდომი ცხენი, რომლებიც, როგორც იტყვიან, ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ, მაგრამ... ზედ არავის არ შესვამდა, თავის შვილებსაც კი; ება თავლაში და მეჯინიბეები სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ უვლიდენ და ასუფთავებდენ, რაც კი შეეძლოთ; შემდეგ სასეირნოდ გამოიყვანდნენ რამდენიმე ხანს და ისევ თავის ალაგს დააბამდნენ; პატრონი დღეში ხუთჯერ ათვალიერებდა და შეჰხაროდა ცხენებს, სხვა არაფერი!..

არ დაგვრჩა უნახავი აგრეთვე შემახიიდან ოთხ-ხუთ ვერსზე მდებარე სოფელი მატრასა, რომელიც განთქმულია მთელს ბაქოს გუბერნიაში თავისის ღვინოებით. შემახიიდან დაბრუნების დღეს ჩვენ და ჩვენი ძვირფასი მასპინძელი, მაზრის უფროსი ზაგაინი, მიგვიწვია მატრასაში თავის მამაულში შეძლებულმა მემამულემ ბ. ხაჩანოვმა. სოფ. მატრასა ქედზე მდებარეობს, ხოლო ვენახები დასავლეთით ფერდობზეა დაფენილი. ვენახებში ხეხილებს აქა-იქ შეხვდებით, მთელი ადგილი ვაზით არის სავსე. ჩვენებური ხეივნები ვენახებში არ იციან, მარტო საცალფეხო გზებია მებაღისა და ბიჭებისათვის. ვაზი სასტიკად მწყობრად და რიგზეა ჩამწკრივებული კახურად. ლატანი და ბოძები არა აქვს, რომ ვაზი ზედ ავიდეს. ვაზისათვის სარი ძალიან ძნელი საშოვარია, რადგანაც ახლო-მახლო საიმისო ტყე არ არის და ამიტომ ვაზებს სარის მაგივრად უდგამენ ლერწამს, რომელიც იქ მრავალია, სიმაღლით სამ-საჟენამდის იზრდება და სისქით მკლავზე ცოტა მომცრო; ლერწამის მალე დალპობას ხალხი ყურადღებას არ აქცევს, რადგანაც ის მრავალია და მუქთი და ყოველ წელიწადს სცვლის, მით უმეტეს ლერწამი ორ-სამ წელიწადსა სძლევს. ეს დიდი შეღავათია მევენახეთათვის. ვაზების ჩაყოლებაზე ორსავე მხრით გაყვანილია თხრილები, სიღრმით ადლნახევრამდე, რის გამოც დღით მზე აშრობს ვაზის ფესვებს და ღამით კიდევ ეს თხრილები ნამითა და ცვარით ივსება. ხშირი ბურუსი იცის ამ მხარეს ღამით და დილით... და მხოლოდ ცის ცვარი ასაზრდოვებს ამ ურწყავ ვენახებს—მატრასის ღვინო ერთთავად მელანივით შავია და ფაფასავით სქელი, ცოტა მწკლარტეთ გაჰკრამს; მაგრამ მატრასის თავი ღვინო, ღმერთო, შეგცოდე და, თუ კარგ კახურ ღვინოს არა სჯობია, არაფერში არ ჩამოუვარდება.

კირითა და დუღაბით ამოლესილი საწნახლები და ქვევრები ისეთივე იყო, როგორც ჩვენში; მხოლოდ ბოლოს დროს ბ. ხაჩანოვს მოსკოვიდან და საზღვარ-გარეთიდან გამოეწერა საწურავი მანქანა და ყურძენს, კარგად გარჩეულს, „ბოჭკებში" სწურავდა დ აყენებდა როგორც მასპინძელმა დაგვიმტკიცა, „ბოჭკის" ღვინო ძალიან განსხვავდებოდა საწნახელ-ქვევრის ღვინოსაგან, როგორც სისუფთავით და ლაზათით, ისეც გემოვნებით და სიმაგრით. ბ. ხაჩანოვმა გვაჩვენა აგრეთვე თავისი სამეურნეო მრეწველობის ნაწარმოების ბევრი ნიმუშები; სხვათა შორის შესანიშნავი ხოლმოგორის ძროხები ხბოებით; ექვსი თვის ხბოზე ვერ იტყოდით, რომ ის წლის-ნახევრის ტანოვანი მოზვერი არ იყო! აგრეთვე დიდებული ჯიშის ცხვრები და ფრინველები გვაჩვენა. იმ დღეს ჩინებულად და ალტაცებით გაგვიმასპინძლდა ბ. ხაჩანოვი, და ჩვენ საღამოს სახლში დაბრუნება დავაპირეთ...

—

ხანი გავიდა. 1902 წლის წარსულ იანვრის 31-ს მზემ ჩვეულებრივ თავი ამოჰყო დაღისტნის მთებიდან და უკანასკნელად გაუნათა შემახელებს. ჯანყიანი დილა იყო, მაგრამ თბილი, მზე ბჟუტვით ანათებდა. ხალხი ჩვეულებრივ საქმეს შეუდგა: ბაზარში კვლავ იწყეს ვაჭრობა; კვლავინდებურად მოისმა ქალაქში სიცოცხლის ხმა: ჟრიამული, სიცილ-ხარხარი ოჯახებში, ქუჩაზე, აბანოებში, რომლებიც ამ დღეს სავსე იყო მაჰმადიანთა ქალებით... აგერ, დღის პირველ საათზე იგრგვინა უწყალომ, ულმობელმა და საზარელმა სტიქიონმა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ძირს დასცა, დაამხო მთელი შემახა და იმის მიდამოები!.. როგორც ბავშვებისგან გაკეთებული სათამაშო ქაღალდის ხუხულები, ისე დაფუშა მთელი შენობები... გაანაცრა, გაამტვერა!.. განქრა სიმდიდრე, სიმშვენე, სიყვარული, სიხარული, ოჯახური კერა... ათასობით ცოცხალი დაიმარხა ნანგრევებ ქვეშ: ადამიანები, პირუტყვები, ფრინველნი, ძაღლი, კატა... აღარა დარჩა რა!.. ეს სიცოცხლის დუღილი, ცხოვრების ვარამის გამო მოძრაობა, უნიადაგო და დაუდგრომელ წუთისოფელთან ბრძოლა უცბად, რამდენიმე წუთის განმავლობაში, აღიგავა პირისაგან ქვეყნისა, შემახა გახდა საყოველთაო სამარედ... ეხლა რამდენიმე გადარჩენილი გონება-მიხდილები სხედან ნანგრევებზე და საზარლად ჩაბღუიან დაღუპულთ: დედას, მამას, ძმას, დას, შვილს, მეგობარს, გულის სატრფოს... მათ თავს დასჩხავიან მძორისთვის გაშმაგებული ყვავები!..

ოჰ! განგებაო! რა უბედური და უძლური ჰყოა ადამიანი!!

ა. ცაგარელი.

მომეტებული ნაწილი მისის უკვდავი ნაწარმოებისა მის სამშობლო იტალიაში იმყოფება).

შარშან მომიხდა იტალიაში მოგზაურობა. სხვათა შორის, სახეში მქონდა ამ მოგზაურობის დროს მეპოვნა რამე მსგავსება ქართული მხატვრობისა იტალიის მხატვრობასთან. იქაურ სამხატვრო მუზეუმების დათვალიერების დროს მეტად გამიკვირდა, როცა იტალიელ ხელოვანთა შორის ქართველ ხელოვანის ნიმუშებიც ვნახე. სახელდობრ—ქალაქ ფლორენციის ერთ-ერთ სამხატვრო მუზეუმში, რომელსაც Uffiri ეწოდება, შევხვდი იმ გვარ სურათებს, როგორიც საქართველოშია. ხელდახელი შულალი (набросокъ), რომელიც ფლორენციის სურათებიდან გადავიღეთ და რომელსაც ეხლა ჩვენ ქართულ სურათებს ვადარებთ, ძლიერ საბუთებს გვაძლევს იმისას, რომ ეს ორივენი ერთისა ღ იმავე ოსტატის ხელქმნილია. ამათ არამც თუ გარეგანი ელფერი უგავთ ერთმანეთს, არამედ თვით შინაარსიც და კომპოზიციაც. პირველი სურათი ფლორენციის მუზეუმისა „ეკლით ტანჯვა იესოსი“ და მცხეთის ამნაირივე შინაარსის სურათი—ერთი და იგივეა: როგორც ერთის, ისე მეორე სურათის შუაგულში იესო ქრისტე სდგას და ქვის სვეტზე აქვს ხელები უკან გაკრული. გარშემო მტარვალნი უდგანან ეკლის ცოცხებით ხელში. მარჯვნივ მდგომ მტარვალს მარცხენა ფეხი წინა აქვს წამოდგმული; ორივე ხელში ეკლის ცოცხები უპირავს; ერთი ხელით სცემს და მეორეც მზად უპირავს. მარცხნივ მდგომარე მტარვალი სვეტს ამოპჭოვარებია, მარჯვენა ფეხი წინ წამოუდგამს და მარჯვენა ხელით გულმოდგინედ სცემს ეკლის ცოცხსა.

თვით იესო ქრისტე მარცხენა ფეხზე მაგრად სდგას, მარჯვენა კი ოდნავ მოუხრია. განსხვავება სურათებში ცოტაოდენია მხოლოდ—იესო ქრისტეს თავის მიმოხვრაში მცხეთის სურათზე თავი მარჯვნივ აქვს ახრილი (ракурсъ), ფლორენციისაზე კი—მარცხნივ გვერდზე.

მეორე სურათი ფლორენციისა, „ხარება ღვთისმშობლისა,“ გაცილებით დიდია მცხეთისაზე, თითქოს მცხეთისა ფლორენციის სურათის ესკიზი იყვესო, ანგელოზი ამ ფლორენციის სურათისა მიემგვანება აგრეთვე მცხეთის სხვა სურათის ანგელოზს („ქრისტეს ვედრება გეთსამანიის ბაღში“). კალამი და საერთო ელფერი ორივესი ერთი და იგივეა. დიდი მსგავსება აქვთ აგრეთვე ტანისცმელშიაც: თეთრი თავ-სახვევი, პირის ფერი კაბა პერანგი, ლურჯი ან მუქი მწვანე წამოსასხმელი. მსგავსება აქვთ აგრეთვე თვით გარეგან ფორმაშიაც; შიდა ჩარჩოების ზევითა ნაწილი ყველა ამ სურათებისა კამარას (თაღის) მაგვარია. ამას დაუმატეთ ფერადების ერთგვარობა ქიმიურად, რომელნიც უფრო იცრცნებიან, ვიდრე სხვები ამავე ხანისა.

ზემო მოყვანილ მსგავსებიდან ცხადად სჩანს მათი ერთ-გვარობა—რომ ორივე ერთი მხატვრისაგან არიან დახატულნი და ეს მხატვარი ქართველი ყოფილა. შეიძლება ზოგმა სთქვას, რომ თუმცა ეს ასეა, მაგრამ რატომ ფლორენციის სურათები ქართველისაგან არის დახატული და რატომ, პირიქით, მცხეთის სურათები არ არის იტალიელისაგან დახატულიო? მით უფრო, რომ არის საბუთი საქართველოს ისტორიაში, როცა ფლორენციიდან მხატვარი დაუბარებიათ.*) ამაზე ვიტყვით შემდეგს: პირველი, ფლორენციის სურათს იტალიის მუზეის მმართველობისაგან წარწერა აქვს, რომ იგი ეკუთვნის ალბარტინელის სკოლას (XV საუკ.), მხოლოდ სახელი და გვარი მხატვრისა უცნობია. მეორე, ფლორენციის სურათს ასეთივე უცნობობა აწერია: ignoto del sec XVII. (ჩვენა გვგონია, რომ ზემორე ორივე სურათები ერთ ხანშია დახატული). აქედანა სჩანს, რომ ამ სურათების დამხატველი უცნობია იტალიისათვის, მაშინ, როცა ამ ხანის საუკეთესო მხატვრების ხახელსა და გვარს ხელოვნების ისტორია ყველას იცნობს, ამათ მომქმედზე კი არაფერს ამბობს. და რომ ეს მხატვარიც თავის ოსტატობით სხვებზე ნაკლები არ არის, სჩანს იქიდანაც, რომ მათ დაუთმეს ალაგი მუზეიში სხვა საუკეთესო მხატვართა შორის.

რომ ეს მხატვრობა და მცხეთის მხატვრობა ორივე ქართველისაგან არის შექმნილი, ამას ამტკიცებს შემდეგი საბუთები: ა) გრძნობა და სინამდვილე გარემოებისა ზემორე აღნიშნულ სურათებში სჭარბობს გარეგანს ფორმებს; ბ) ნახატი სვეტის ლაბიერისა (карнизъ), რომელზედაც ქრისტეა მიკრული—ქართულია, რის მაგვარს ეხლაც მრავალს შეხვდება კაცი ჩვენს ეკლესიებში; გ) ცოცხი ეკლისა ჩვენებურია, მის მაგვარს ეხლაც ჰკრავენ საქართველოში და ხმარობენ საქონლის საურველად; დ) წარწერა ქართულ-ხუცურ ასოებით (მცხეთის ერთ სურათზე); ე) ტიპები მიტროპოლიტთა და მოციქულთა ნამდვილი ქართულებია; ვ) კამარის მაგვარი ჩარჩო ხშირია მარტო ქართულ ძველ მხატვრობაში.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ დედა ბუდე ამ მხატვრობისა საქართველოა.

მხოლოდ ვერ ვიტყვით, რომ ამის დამხატველს იტალიის მხატვრობა არ ენახოს. პირიქით, მას კარგათ სცოდნია თავის დროის იტალიის მხატვრობის მისწრაფება.

ვინ არის ამის დამხატველი, ჩვენდა სამწუხაროდ, ამაზე ჯერ არაფერი ვიცით. თუმცა საქართველოს ისტორიაში ხელოვან მხატვრის ხსენება იშვიათი არ არის, მაგრამ ვისი დახატულია ეს სურათები—მისი სახელი და გვარი არა სჩანს. სურათზე გვარის მოწერა მაშინ ხმარებაში არა ყოფილა და ჩვენთვისაც ისეთივე ignoto არის, როგორც ფლორენციელთათვის.

თუ როგორ მოჰყვა ეს სურათები ფლორენციაში, ამაზე ვიტყვით, რომ ეს სურათები, როგორც ნიმუში ქართული მხატვრობისა, შეიძლება კათოლიკეთა ბერებს ან მისიონერებს გადაეტანათ, რომელთაც მე-XIII საუკ. მე-XVIII საუკუნემდე დიდი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ საქართველოში.

ა. მრევლიშვილი.

*) იხ. მ. თამარაშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 თებერვალი.

პეტერბურგი. ამურის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი გრიბსკი დაინიშნა მთავარ შტაბის მოხელედ.

22 თებერვალს ერმიტაჟის თეატრში უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართა ამ ზამთარში. ითამაშეს ფრანგული კომედია და პუშკინის დრამატიული სცენები „მოცარტი და სალიერი“, რის შემდეგაც ვახშამი გაიმართა, მერე ცეკვა.—23 თებერვალს დაასაფლავეს კნეინა ე. ა. ბარიათინსკისა.

23 თებერვალს 2 საათზე და 30 წ. ბუხარის ემირი თავის მემკვიდრით გამოემშვიდობა მათ უდიდებულესობათ.

პარიზი. ინგლისისა და იაპონიის ხელშეკრულების შესახებ დელკასემ განაცხადა, რომ ხელშეკრულობა საფრანგეთის პოლიტიკას შორეულს აღმოსავლეთში არ შესცვლისო. საფრანგეთის პოლიტიკა იმ აზრს ადგია, რომ ჩინეთი ხელშეუხებელი იყოსო.

კოვნო. გუშინ გათავდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება. საყურადღებო მოხსენება იყო: შემნახველ-საპენსიო კასის დაარსება, სასოფლო-სამეურნეო საცდელ მინდვრის დაწესება და ურთიერთთ დაზღვევა.

ირბიტი. ბაზრობა გათავდა.

კალუგა. კალუგაში მოვიდა მიწად-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი.

ასხაბადი. სომხების საზოგადოებამ გოგოლის იუბილეი იდღესასწაულა.

ხარკოვი. ქურდების ბრბო შეიპყრეს; ისინი დიდი ხანია ქურდობენ; ერთ ქურდს აღმოაჩნდა თერთმეტი საქორწინო ბეჭედი სახელებით.

ჩიტა. ჩიტაში კრებაა ბურიატების წარმომადგენლებისა. კრებამ უნდა განიხილოს პანსიონ-თავშესაფარის შენობის აგების საქმე ბუდისტების შვილებისთვის, რომლებიც სასწავლებლებში სწავლობენ.

ლოძი. მეათე ბაზრობა პეტროკოვში კარგი იყო; ბევრი ცხენი გაიყიდა კარგ ფასად; ოცი ცხენი ინგლისის მხედრობისათვის იყიდეს.

კრონშტადტი. დღეს ყველა ეკკლესიებში გადაიხადეს პანაშვიდები იმპერატორის ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად.

კალუგა. მიწად-მოქმედების მინისტრმა დაათვალიერა სასოფლო-სამეურნეო საწყობები და სამუშაო სახლი.

ბაქო. შემახიის კომიტეტის გამოანგარიშებით 126 სოფელი დაზიანდა 9,084 სახლით; დაზიანდა თერთმეტი საყდარი, ორმოცდა ერთი მეჩეთი და 127 დუქანი; დაიხოცა 86 კაცი, 33 ცხენი და 282 სული სხვილფეხი საქონელი. შემახაში დღეს თოვლი მოვიდა, ცივა.

ვარშავა. თავის შრომით მცხოვრებ ურთიერთ დამხმარებელ ქალთა კასასთან დაარსეს სამუშაოს საშოვნელი კანტორა.

ლონდონი. ბანერმანის შეკითხვაზე სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა განაცხადა, რომ უკანასკნელს ორ თვეში თავის ნებით დამორჩილებულ ბურების სიმრავლე იმედს გვაძლევს, ჯარები შევამციროთ ცხრა თვის ვადაზე უფრო ადრეო.

პეტერბურგი. 23 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და მთავრინანი ბრძანდებოდნენ სურათების მეოცდა-ათე გამოფენაზე.

ხელმწიფე იმპერატორმა, დიდმა მთავრებმა და მთავრინებმა დაათვალიერეს აგრეთვე სახელოვნო გამოფენა.

23 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, პეტერბურგიდან იალტაში წავიდა ბუხარის ემირი თავის მემკვიდრით. დღეს ემირს გამოეთხოვნენ სამხედრო მინისტრი და თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი. გუშინ მხატვართა საქველმოქმედო ბალს დაესწრო დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე.

დღეს ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მესამის დაბადების დღის მოსაგონებლად პეტრე-პავლეს ტაძარში გარდაიხადეს წირვა და პანაშვიდი.

25 თებერვალი

კონსტანტინეპოლი. ბევრს წარჩინებულ პირებს აპატიმრებენ. სამხედრო სამინისტროს ქვეითა ჯარის დეპარტამენტის დირექტორი კასიმ-ფაშა და უმთავრესი შტაბის განყოფილების უფროსი შაკის-ფაშა დააპატიმრეს. ყველა დაშინებულია და ურთი-ერთ შორის საზოგადო უნდობლობა ჰსუფევს.

ჰონ-კონგი. კვანგსის მეამბოხებმა კაიჩუს საზღვრამდე მიაღწიეს. კაიჩუ 80 მილის მანძილზეა კუანგ-ჩუანთან. მეამბოხები მანდარინებს თავს დაესხნენ, მათ სძლიეს და ტუსაღები გაანთავისუფლეს, რომლებიც მეამბოხეებს მიემხრნენ. ამბობენ, რომ „სამერთობის საზოგადოებაც“ მეამბოხეებთან ერთად მოქმედობს. მეამბოხენი სცარცვავენ და ცეცხლს უკიდებენ სოფლებს.

მოსკოვი. ზეინკალის ლოგინოვის ოჯახის მკვლელი ყოფილა მათი მდგმური ვასილი კურენკოვი 19 წლისა.

შემახა. მიწის ძვრის შემდეგ პირველად სწირეს შემახის პოლკის დროებით ეკკლესიაში, რომელიც თავ. გოლიცინის დახმარებითააშენეს. სამი გოჯა თოვლი მოვიდა. ჯარები და მკვიდრნი ჯერ ისევ კარვებში იმყოფებიან. ხალხი დაძრწის. ღამით სიცივე 8°/o ადის.

ნიჟნი-ტაგილსკი. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ვაჭრებ შორის შემდეგ გარემოებამ: ჩამოვიდნენ პეტერბურგიდან პლეცი (იძახის ღენერალი ვარო), რომელსაც თან ახლავს ვილაც პოტრუხა. შეაგროვეს 780 მან., ვითომდა ერთ საქველ-მოქმედო დაწესებულების სასარგებლოდ და წავიდნენ.

ჩიტა. აქ მოვიდა და აქედან პეტერბურგში მიდის ამურის მხრის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე.

ვორონეჟი. შლიხტინგის მემკვიდრეებმა დაუთმეს ბობროვის მაზრის გლეხებს 5600 დეს. მიწა. 100 მან. დეს., 160 მანეთის მაგიერ. გლეხებმა ეკკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს და დაადგინეს, სოფლის სამმართველოში შლისტინგის სურათი დაჰკიდონ.

ვარშავა. აქაურ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა უმეტესობამ მოითხოვა საგანგებო კრების მოწვევა ახლანდელ გამგეობის გადასაყენებლად.

სიმბირსკი. სიფხიზლის საზოგადოება თხოულობს 40000 მან. სუბსიდიას სახალხო სახლის ასაშენებლად.

ვერხნე-უდინსკი. აქ დატყვევებული ჰყავთ ხუნხუზების ბელადი (ჩინელი ავაზაკები).

ტუნისი. ხმელთა შუა ზღვის რუსეთის ესკადრის უფროსი კრიგერი საფრანგეთის დროებით პრეზიდენტთან გენერალ სალინიკთან მივიდა სადარბაზოდ.

ბახმუტი. ბახმუტის საპყრობილიდან გაქცეულა სამი საშიში ტუსაღი.

გამომც. და რ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

საუკეთესო აბრეშუმის

გრენა

(თესლი)

არუთინ ქალანთაროვის ფირმისა ისყიდება ხელმისაწვდენ ფასებში. გრენი შემოწმებულია კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მიერ და კოლოფებს თეთრი ბანდეროლი არტყია.

ადრესი: სიონის ქუჩა ძმ. მელიქ. მარუთოვების მაღაზია. (15—1)

სადგურ სუმბატოვოზე

ხე-ტყის სახერხი ქარხანა

ვიღებ შეღავათიანის ფასით სამუშაო-სახერხს; აგრეთვე, რადგან საწარმოებელი თანხა მცირე მაქვს, ქარხანას იჯარით ვაძლევ. მსურველთ მომმართონ ქარხანაში. შემიძლია ხე-ტყის მასალაც მივაწოდო მსურველთ.

(3—1) ჟიკაევი.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

იწვევს ტფილისში უძრავ-მამულების პატრონთა და სავაჭრო-სამრეწველო ცენზის მქონებელთ გამოუცხადონ გამგეობას ორის კვირის განმავლობაში, ესე იგი 1902 წლის 12 მარტამდე, თუ რამე შეცდომა და ნაკლი იპოვეს საარჩევნო სიებში, თანახმად საქალაქო დებულების მე-36 მუხლისა. ამასთანავე ტფილისის ქალაქის გამგეობა აცნობებს უძრავ-მამულების გარდაცვალებულ პატრონთა მემკვიდრეებს, რომ თუ ისინი ამ წლის 12 მარტამდე არ წარმოუდგენენ გამგეობას საჭირო საბუთებს ხსენებულ მამულების მათ სახელზე გადასატანად, ამ შემთხვევაში ისინი არ იქნებიან შეტანილნი საარჩევნო სიებში. იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც უძრავი მამულები სხვა და სხვა საარჩევნო უბნებში აქვთ, იმავე ვადამდე უნდა გამოუცხადონ ტფ. ქალაქის გამგეობას, სახელდობრ რომელ საარჩევნო ნაწილში სურთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა დანიშნავს მათ იმ უბანში, სადაც მეტი ქონებრივი ცენზი აქვთ. იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელნიც სიებში შეტანილნი არიან ერთ უბანში როგორც ქონებრივის ცენზის პატრონნი, ხოლო მეორეში, როგორ სავაჭრო-სამრეწველო ცენზის მქონებელნი, უნდა განუცხადონ გამგეობას, რომელის ცენზით ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა დანიშნავს მათ იმ საარჩევნო უბანში, სადაც ქონებრივი ცენზი აქვთ. ის პირნი და დაწესებულებანი, რომელთაც პირველ სიების შედგენამდე შეიტანეს დასაფარებელ გადასახადის ნედოიმკები, 1901 წლ. 1-იანვრამდე ხვედრი, შეტანილ იქნებიან საბოლოო საარჩევნო სიებში; აგრეთვე შეტანილ იქნებიან საარჩევნო სიებში ისინი, ვინც 1902 წ. 22 აპრილამდე შეიტანენ ნედოიმკებს 1901 წლის 1-ლ ნოემბრისას.

საარჩევნო სიები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ საქალაქო, სახელოსნო და მოქალაქეთა გამგეობებში, ყველა საპოლიციო უბნების სამმართველოებში და ვაჭართა მამასახლისის კანცელარიაში. (ნ. 1—1)

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.